ქ. თბილისის მერია

კონკურსის მეშვეობით ქ. თბილისში, ვ. გოძიაშვილის სახელობის პარკის მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა

წინამდებარე საკონკურსო პირობები შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე

ქ. თბილისი

2014 წელი

საკონკურსო განცახდება

1. ქ. თბილისის მერია (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. N7), ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით აცხადებს კონკურსს ქ. თბილისში, ვ. გოძიაშვილის სახელობის პარკის მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს (როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი).

2. შესყიდვის ობიექტი: ქ. თბილისში, ვ. გოძიაშვილის სახელობის პარკის მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა;

3. კონკურსის მიზანია – ქ. თბილისში, ვ. გოძიაშვილის სახელობის პარკის მოწყობის საუკეთესო არქიტექტურული კონცეფციის მქონე კონკურსანტის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

4. შესასყიდი საკონკურსო წინადადების (ქ. თბილისში, ვ. გოძიაშვილის სახელობის პარკის მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა) სავარაუდო ღირებულება შეადგენს 60 000 ლარს. საკონკურსო წინადადება რომლის ფასიც აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.
(კონკურსში ფიზიკური პირის გამარჯვების შემთხვევაში ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას უზრუნველყოფს შემსყიდველი ორგანიზაცია, მითითებული თანხის ფარგლებში).

5. დაფინანსება განხორციელდება 2014 წლის ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით.

6. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება (საკონკურსო წინადადების ფასი, არქიტექტურული კონცეფცია-ესკიზი (მათ შორის პარკის გეგმა და 3D ვიზუალიზაცია (რენდერი) მინ. 4ც., ნაბეჭდი A3 ფორმატით ფერადი, ელექტრონული PDF ფაილით, რომელიც იქნება, როგორც ვიზუალური ისე ფუნქციონალური თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელი, შესრულებული არსებული სიტუაციის გათვალისწინებით) ერთ დალუქულ კონვერტში და რეკვიზიტები დანართი #1–ის მიხედვით) და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ 2014 წლის 14 მაისის 17:00 საათიდან 2014 წლის 3 ივნისის 12:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. N7, ქ. თბილისის მერია, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

7. კონკურსი ჩატარდება 2014 წლის 3 ივნისს 12:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისის მერია, ჟ. შარტავას ქ. N7 მე-15 სართულზე, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

8. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს ერთი ვარიანტი.

საკონკურსო პირობები

1. ქ. თბილისის მერია (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. N7), ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით აცხადებს კონკურსს ქ. თბილისში, ვ. გოძიაშვილის სახელობის პარკის მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს (როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი).

2. კონკურსის მიზანია – ქ. თბილისში, ვ. გოძიაშვილის სახელობის პარკის მოწყობის საუკეთესო არქიტექტურული კონცეფციის მქონე კონკურსანტის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

3. შესყიდვის ობიექტი: ქ. თბილისში, ვ. გოძიაშვილის სახელობის პარკის მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა;

4. შესასყიდი საკონკურსო წინადადების ქ. თბილისში, ვ. გოძიაშვილის სახელობის პარკის მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა) სავარაუდო ღირებულება შეადგენს 60 000 ლარს. საკონკურსო წინადადება რომლის ფასიც აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.
(კონკურსში ფიზიკური პირის გამარჯვების შემთხვევაში ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას უზრუნველყოფს შემსყიდველი ორგანიზაცია, მითითებული თანხების ფარგლებში).

5. კონკურსში მონაწილეობის საფასური:

5.1. საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს კანონის 19[1] მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით (50 ლარი). საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).
5.2. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

პირის მიერ 5.2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს არ განიხილება.

7. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.

8. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

9. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის

შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

10. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

11. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

12. კონკურსი ჩატარდება 2014 წლის 3 ივნისს 12:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისის მერია, ჟ. შარტავას ქ. N7 მე-15 სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

13. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება (მხოლოდ შესყიდვის ობიექტის დიზაინის პროექტი ერთ დალუქულ კონვერტში) და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ 2014 წლის 14 მაისის 17:00 საათიდან 2014 წლის 3 ივნისს 12:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. N7 მე-15 სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

14. საკონკურსო წინადადების ღირებულება გამარჯვებულ კონკურსანტს გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციასა და გამარჯვებულ კონკურსანტს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების (სრულყოფილი პროექტის გადაცემის) შემდეგ არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

15. კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი საკონკურსო წინადადება უნდა მოიცავდეს:

საკონკურსო წინადადების ფასს (წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს ლარში) დანართი #2-ის მიხედვით და კონცეფციალურ პროექტს (მათ შორის პარკის გეგმა და 3D ვიზუალიზაცია (რენდერი) მინ. 4ც., ნაბეჭდი A3 ფორმატით ფერადი, ელექტრონული PDF ფაილით), ხოლო გამარჯვებულმა კონკურსანტმა 60 დღის განმავლობაში უნდა უზრუნველყოს ქ. თბილისში, ვ. გოძიაშვილის სახელობის პარკის მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენა (სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაცია მომზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით).

ტექნიკური დავალება

- ტოპოგრაფიული გეგმარება;
- აზომვითი სამუშაოები;
- არსებული კომუნიკაციებისა და ელექტრო გაყვანილობების სქემა;
- არქიტექტურული პროექტი (მათ შორის საჭიროებისამებრ კონსტრუქციული ნაწილი);
- დენდროლოგიური პროექტი;
- ვიზუალიზაცია, ესკიზური პროექტი, რენდერები (3D ვიზუალიზაცია, რენდერი მინ. 10ც.);
- არსებული შადრევნის მდგომარეობის შესწავლა და რეკონსტრუქციის პროექტი;
- წყალმომარაგებისა და კანალიზაციის (საჭიროებისამებრ) პროექტი;
- ვერტიკალური გეგმარება;
- ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების პროექტი;
- ხარჯთაღრიცხვა;

შენიშვნა:

სრულყოფილი პროექტი შესრულებული უნდა იყოს შესაბამის პროგრამაში და წარმოდგენილი როგორც ელექტრონული ასევე ბეჭდური სახით (A3 ფორმატით ფერადი 2 ეგზემპლიარად);

შემსრულებელმა კომპანიამ უნდა უზრუნველყოს მის მიერ შესრულებული პროექტის შესაბამისად წარმოებული სამუშაოების საავტორო ზედამხედველობის ღონისძიებები და საჭიროების შემთხვევაში პროექტში შეიტანოს კორექტირებები;

საპროექტო ფართი დაზუსტდეს ტოპოზომვის მეშვეობით, არსებული სიტუაციის გათვალისწინებით პროექტი უნდა გადაწყდეს თანამედროვე სტილში;

საკონკურსო დოკუმენტაციას თან ახლავს სკვერის საკადასტრო რუქა.

16. საკონკურსო წინადადების შეფასება განხორციელდება 10 (ათი) ქულიანი შეფასებით შემდეგი კრიტერიუმებით:

- არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი – კოეფიციენტი – 0,5
- საკონკურსო წინადადების ფასი - კოეფიციენტი - 0,5

საკონკურსო წინადადება შეფასდება საკონკურსო პირობებში ჩამოყალიბებული კრიტერიუმებისა და ამ კრიტერიუმის პრიორიტეტულობის კოეფიციენტების მიხედვით. კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

შენიშვნა:
*საკონკურსო კომისიის მიერ შეფასებული იქნება ზემოთ მითითებული კრიტერიუმებით: 1.*არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი; 2.საკონკურსო წინადადების ფასი. *შეფასების შედეგად გამოვლენილი გამარჯვებული კონკურსანტი ვალდებულია 60 დღის განმავლობაში უზრუნველყოს სრულყოფილი პროექტის წარმოდგენა ზემოთ მითითებული მე-15 პუნქტის შესაბამისად.*

17. კონკურსი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების შესაბამისად.

18. კონკურსთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია საკონკურსო კომისიის აპარატში. ქ. თბილისი, ჟ. შარტავს ქუჩა #7, მე–15 სართული. საკონტაქტო პირი: გივი ჭუმბურიძე ტელ: +99532 2 37-86-64

დანართი N1

1. რეკვიზიტები:

კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

კონკურსანტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

კონკურსანტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის დასახელება და კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

კონკურსანტის ხელმოწერა _____

ბ.ა.

**თუ კონკურსანტი ფიზიკური პირია უნდა მიეთითოს პირადობის მოწმობის ან პასპორტის მიხედვით პირადი ნომერი.*

დანართი N2

№	**სკვერის დასახელება**	**სულ**
1	2	3
1	ტოპოგრაფიული გეგმარება	
2	აზომვითი სამუშაოები	
3	არსებული კომუნიკაციებისა და ელექტრო გაყვანილობების სქემა	
4	არქიტექტურული პროექტი *(მათ შორის საჭიროებისამებრ კონსტრუქციული ნაწილი)*	
5	დენდროლოგიური პროექტი	
6	ვიზუალიზაცია, ესკიზური პროექტი, რენდერები (3D ვიზუალიზაცია, რენდერი min. 10ც.)	
7	არსებული შადრევნის მდგომარეობის სესწავლა და რეკონსტრუქციის პროექტი	
8	წყალმომარაგების და კანალიზაციის (საჭიროებისამებრ) პროექტი	
9	ვერტიკალური გეგმარება	
10	ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების პროექტი	
11	ხარჯთაღრიცხვა	
ჯამი		
ზედნადები ხარჯი		
ჯამი		
მოგება		
ჯამი		
დ.ღ.გ. 18%		
სულ ჯამი		

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ *პროექტი*

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ. თბილისი **--. --. 201_ წ.**

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მერია (შემდგომში _ შემსყიდველი), წარმოდგენილი ---------- და მეორეს მხრივ ----------, წარმოდგენილი მისი დირექტორის ---------- სახით (“შემდგომში მიმწოდებელი”), საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

შემსყიდველმა ჩატარა კონკურსი

ქ. თბილისში, ვ. გოძიაშვილის სახელობის პარკის მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე, რომლის საკონკურსო პირობების შესაბამისად კონკურსანტმა წარმოადგინა ქ. თბილისში, ვ. გოძიაშვილის სახელობის პარკის მოწყობის სამუშაოების არქიტექტურული კონცეფცია-ესკიზი და საკონკურსო კომისიის შეფასებით გამოვლინდა გამარჯვებულად, ამავე საკონკურსო პირობების შესაბამისად შეფასების შედეგად გამოვლენილი გამარჯვებული კონკურსანტი კი ვალდებულია 60 დღის განმავლობაში უზრუნველყოს სრულყოფილი პროექტის წარმოდგენა. პროექტი კი წარმოდგენილი უნდა იყოს დანართის შესაბამისად რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.ხელშეკრულების საგანი (ობიექტი)

ქ. თბილისში, ვ. გოძიაშვილის სახელობის პარკის მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა (შედგენილი დანართის შესაბამისად).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ლარში.
2.2 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ---------- ლარს.

3.მიწოდების ვადა და ადგილი

3.1 მიწოდების ვადა – მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენა (შედგენილი ხელშეკრულების დანართის შესაბამისად) ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 (სამოცი) დღის განმავლობაში.
3.2 მიწოდების ადგილი – ქ. თბილისის მერია, შარტავას ქ. №7 (ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური).

4.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის (წინამდებარე ხელშეკრულების პირველ პუნქტში მითითებული საგანი) მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდვლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ ქ. თბილსის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის თანამშრომლები).

5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარში.

5.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

5.3 ანგარიშსწორება განხორციელდება 2014 წლის თბილისის ბიუჯეტით, ქ. თბილისში, ვ. გოძიაშვილის სახელობის პარკის მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის (შედგენილი ხელშეკრულების დანართის შესაბამისად) შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია:

6.2.1.დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

6.2.2.ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.

6.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

6.3.1განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;

6.4.მიმწოდებელი ვალდებულია:

6.4.1 ქ. თბილისის მერიას გადასცეს წინამდებარე ხელშეკრულების პირველ პუნქტში მითითებული მომსახურების საპროექტო დოკუმენტაცია.

6.4.2 უზრუნველყოს მის მიერ შესრულებული პროექტის შესაბამისად წარმოებული სამუშაოების საავტორო ზედამხედველობის ღონისძიებები და საჭიროების შემთხვევაში პროექტში შეიტანოს კორექტირებები;

6.4.3 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

6.5 მიმწოდებელს უფლება აქვს:

6.5.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება.

7. გაუთვალისწინებელი გარემოებები („ფორს-მაჟორი")

7.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირება, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. აღნიშნულ შემთხვევებში ვალდებულებების შესრულების ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს ხსენებული საგანგებო მდგომარეობების და ბუნებრივი უბედურებების არსებობის პერიოდით.

7.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

7.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0,2 %-ის ოდენობით.

8.3 მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შესრულების ვადის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,2 %-ის ოდენობით.
8.4 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით.
8.5 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვეში.
8.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.7 თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების 5.3 პუნქტის მოთხოვნებს, დაეკისრება პირგასამტეხლო, ჩასარიცხი თანხის 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
8.8ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებლის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
8.9ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.
8.10 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.11ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.12 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად:
ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
9.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

10. გამოყენებული სამართალი

10.1ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

11. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

11.1ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.
11.2შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

12. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13. სხვა პირობები

13.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
13.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
13.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
13.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
----------	----------

საპროექტო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

- ტოპოგრაფიული გეგმარება;
- აზომვითი სამუშაოები;
- არსებული კომუნიკაციებისა და ელექტრო გაყვანილობების სქემა;
- არქიტექტურული პროექტი (მათ შორის საჭიროებისამებრ კონსტრუქციული ნაწილი);
- დენდროლოგიური პროექტი;
- ვიზუალიზაცია, ესკიზური პროექტი, რენდერები (3D ვიზუალიზაცია, რენდერი მინ. 10ც.);
- არსებული შადრევნის მდგომარეობის შესწავლა და რეკონსტრუქციის პროექტი;
- წყალმომარაგებისა და კანალიზაციის (საჭიროებისამებრ) პროექტი;
- ვერტიკალური გეგმარება;
- ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების პროექტი;
- ხარჯთაღრიცხვა;

შენიშვნა:

პროექტი შესრულებული უნდა იყოს შესაბამის პროგრამაში და წარმოდგენილი როგორც ელექტრონული ასევე ბეჭდური სახით (A3 ფორმატით ფერადი 2 ეგზემპლიარად);

შემსრულებელმა კომპანიამ უნდა უზრუნველყოს მის მიერ შესრულებული პროექტის შესაბამისად წარმოებული სამუშაოების საავტორო ზედამხედველობის ღონისძიებები და საჭიროების შემთხვევაში პროექტში შეიტანოს კორექტირებები;

საპროექტო ფართი დაზუსტდეს ტოპოაზომვის მეშვეობით, არსებული სიტუაციის გათვალისწინებით პროექტი უნდა გადაწყდეს თანამედროვე სტილში;